დანართი №4. დამატებითი სასწავლო და სხვა საქმიანობა

წინამდებარე დადგენილების თანახმად, დამატებითი სასწავლო და სხვა საქმიანობა მოიცავს:

1. სახელმძღვანელოს** მომზადებას;
2. სტუდენტის (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორანტის) სამეცნიერო ხელმძღვანელობას;
3. სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) დაცვის კომისიის ერთჯერად წევრობას, სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერად წევრობას, საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერად წევრობას;
4. სამაგისტრო/საბაკალავრო/სადოქტორო ნაშრომების შეფასებას, რეცენზირებასა და ოპონირებას (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორანტის);
5. პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელობას;
6. საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელობას;
7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობას, თანახელმძღვანელობასა და კოორდინირებას;
8. საგანმანათლებლო მოდულის ხელმძღვანელობას, თანახელმძღვანელობასა და კოორდინირებას;
9. საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელობას, თანახელმძღვანელობას, კოორდინირებას;
10. დოქტორანტის სემინარის და/ან კოლოკვიუმის ხელმძღვანელობას;
11. სტუდენტის კონფერენციისათვის მომზადებას, კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობას, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობას, სტუდენტთა მომზადებას ოლიმპიადებისათვის, იმიტირებული პროცესებისა და სხვა სახის შეჯიბრებებისათვის;
12. დამატებით საკონსულტაციო საქმიანობას;
13. პატენტი, გამოგონება, რომელიც აკადემიური საქმიანობის შედეგადაა მიღებული.

** სახელმძღვანელო, რომელიც შეესატყვისება ე.წ. „აკადემიური სახელმძღვანელოს“ მიმართ წამოყენებულ პირობებს, ე.ი. შეიცავს აზრის/შინაარსის მეცნიერულ დამუშავებას, განზოგადებას, ახალი სამეცნიერო დებულებების წარმოდგენას და აღჭურვილია სრული და

თანამედროვე ბიბლიოგრაფიითა და საძიებლით, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს მონოგრაფიად და შეფასდეს სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის შესაბამისად (დანართი№3, პუნქტი 2, ,,წიგნი/მონოგრაფია“).